რეცენზია ნაშრომზე „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები“



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა **გულნაზ ერქომაიშვილმა** გამოუშვა ნაშრომი: **„საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები”.** წიგნის რედაქტორია თსუ პროფესორი რევაზ გველესიანი, რეცენზენტები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მურმან კვარაცხელია და თსუ ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი.

ქვეყანაში ჩამოყალიბებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები და მიმართულებები ორიენტირებულია გრძელვადიან, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. თუმცა ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი საფრთხეებისა და რთული გამოწვევების წინაშე დააყენა გლობალური ეკონომიკა. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზისა და პრიორიტეტული მიმართულებების წამოწევისათვის საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის სისტემური და კოორდინირებული დაგეგმვა.

წიგნში განხილულია საქართველოს განვითარებისათვის პრიორიტეტული მიმართულებები, გაანალიზებულია ეკონომიკური განვითარების სტარატეგიები, კერძოდ, მრეწველობის განვითარების სტრატეგია; აგრარული სექტორისა და გარემოს დაცვის სტრატეგია; ტურიზმის განვითარების სტრატეგია; უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია; შრომის უსაფრთხოების სტრატეგია. აღნიშნული საკითხების კვლევა მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდისათვის.

მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყანამ უნდა აირჩიოს ტექნოლოგიურ განვითარებაზე და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული მოდელი. აუცილებელია სამრეწველო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა: ინოვაციები და ტექნოლოგიები, განათლება და უნარების ფორმირება, საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირება, მრეწველობის მხარდამჭერი მექანიზმის შემუშავება.

ნაშრომში გადმოცემულია ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც ევროპის და მათ შორის, საქართველოს ახალი ფუნქციონალური მიმართულება. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოებაზე დაყრდნობით, უკავშირდება საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გააქტიურობას. საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარედ, დღეს აქვს შანსი, გახდეს ელექტროენერგეტიკული ჰაბი. ამისათვის ქვეყანამ ტრანზიტული ქვეყნის უპირატესობები უნდა გამოიყენოს. ის უნდა გახდეს ელექტროენერგიის გარდამქმნელი და ტრანზიტის ქვეყანა.

ნაშრომში გადმოცემულია ასევე საქართველოს მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგის

მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო პოლიტიკა. გაანალიზებულია მინერალური და მტკნარი წყლების წარმოებისა და ექსპორტის არსებული ვითარება, ახალი ბაზრების ათვისების გამოწვევები.

თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი ტექნოლოგიური ძვრებია. ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების დანერგვამ დასაბამი მისცა უპრეცენდენტო გლობალურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა უნდა მოხდეს ყველა შესაძლო სექტორში, სხვაგვარად ეკონომიკური ზრდა შეუძლებელი გახდება. უნდა ამაღლდეს ციფრული სამეურნეო კულტურა და ის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად იქცეს.

ავტორის მიერ ნაშრომში კარგად არის შეფასებულია აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობა, აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები პოსტკრიზისულ პერიოდში საქართველოში. აღნიშნულია, რომ საქართველოს აგრარულ სექტორს, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკით შეუძლია ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ჩამოთვლია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარებას.

წიგნში განხილულია მწვანე ეკონომიკა და გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოსში. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული და გლობალური ფასეულობის სენარჩუნების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ნაშრომში გადმოცემულია ტურიზმის განვითარების სტრატეგია საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში. ავტორის მიერ დასაბუთებულია, რომ აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნაზე, ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებაზე, შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობაზე.

წიგნში განხილულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების არსებული მდგომარეობა და მისი მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. გაანალიზებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

ავტორის ყურადღება მიმართულია საქართველოში შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებულ მდგომარეობაზე. აღნიშნულია, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას სწორედ დასაქმების ადგილებზე შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. შრომის უსაფრთხოების სფეროში გამოვლენილი გამოწვევებისა და საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების რეკომენდაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში ავტორის მიერ განხილული საკითხები გადმოცემულია გასაგებად და დამაჯერებლად, ლოგიკური თანმიმდევრობით დასაბუთებულია თითოეული მიმართულების განვითარების აუცილებლობა.

წიგნში წარმოჩენილი გამოწვევების კვლევა შესაძლებლობას იძლევა კონცენტრირება მოხდეს ქვეყნისათვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და საჯარო პოლიტიკის ეფექტურობის ზრდაზე, რათა დაძლეულ იქნეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწვევები.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი **„საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები"** თემატიკით, განხილული საკითხებით, არქიტექტონიკით, მეტად მნიშვნელოვანი ნამუშევარია და უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისათვის და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის საჭირო და ძვირფასი შენაძენი იქნება.

ნაზი ჭიკაიძე
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის
დეპარტამენტის პროფესორი